პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ოთხშაბათი, 17 მარტი 1926 წ. წელიწადი მეექვსე ფასი 3 კ.

# წითელი მეომარი

57 (1052) 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## პროფესიონალურ ინტერნაციონალის საბჭოს გაფართოებული პლენუმი.

ამჟამად ქ. მოსკოვში მიმდინარეობს პროფესიონალურ ინტერნაციონალის საბჭოს მორიგი გაფართოებული პლენუმი.

პლენუმის უმთავრესი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ შეაფასოს პროფინტერნის წარსული პოლიტიკა და მომავალი მუშაობისათვის გამოიმუშაოს, უფრო ახალი და მიზანშეწონილი პოლიტიკა, რომლის ცხოვრებაში გატარებამ უნდა საგულისხმოდ დააგვირგვინოს მსოფლიო რევოლიუციონური საქმე.

ამდენ ხანს პროფესიონალური ინტერნაციონალი მიზნად ისახავდა პროფკავშირთა ერთ მთლიანი ერთეულში გაერთიანებას და ამით მუშათა კლასის ინტერესების და ბრძოლის ხელმძღვანელობას.

მაგრამ რჩება რა ძალაში პროფინტერნის ასეთი ხაზი—ამხ. ლოზოვსკი უმატებს ამ გარემოებას შემდეგს: „ამდენ ხანს პროპაგანდა და აგიტაცია ასეთი ერთობისათვის მეტად განყენებულ ხასიათს ატარებდა და რომ მომავალში ასეთი განყენებულ ხასიათის მუშაობას ადგილი არ ექნეს ამიტომ საჭიროა, რომ ეს გაერთიანების საკითხი გადავიდეს მუშათა ფართო მასაში, ქარხნებსა და ფაბრიკაში".

რასაკვირველია საკითხის ასეთი დასმა უფრო პრაქტიკულ სახეს ატარებს და უნდა ვიფიქროთ, რომ იგი დიდი ნაყოფს გამოიტანს ცხოვრებაში.

მაგრამ გარდა ამ საკითხისა, პლენუმი დიდი ყურადღებით ეპყრობა კოლონიალურ სახელმწიფოებში მუშათა კლასის მდგომარეობას და მათ ყოფა-ცხოვრებას.

კოლონიალურ სახელმწიფოებში მუშათა კლასის ხელფასის და ამასთან დაკავშირებული მათი ცუდი და აუტანელი მდგომარეობა, გამოწვეული არის იმ თავისებურ პოლიტიკით, რომელსაც კოლონიებში ატარებს ცენტრალური ხელისუფლება.

ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს, რაც შეიძლება დაბლა დასწიოს სამუშაო ხელფასი კოლონიებში და ეს გარემოება კი საშინელი სიმძიმით აწვება თავზე კოლონიალურ მუშათა კლასს.

პროფინტერნის გაფართოებული პლენუმი მიაკრობს რა ამ გარემოებას დიდი ყურადღებას თავის მორიგ ამოცანად უნდა დაისახოს ამ მოვლენის შესასუსტებლად საჭირო ზომების მიღება.

მაგრამ ცხადია, რომ სავსებით ამ მოვლენის მოსპობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითონ კოლონიალური მუშები საკმაო რევოლიუციონური ცეცხლით გადალახავს იმ დაბრკოლებებს, რომელიც მათ წინაშე აღმართა იმპერიალისტურ — ცენტრალისტურმა მთავრობებმა.

და ეს კი ცხად ყოფს იმ გარემოებას, რომ პროფინტერნმა ხელი უნდა შეუწყოს ამ დაბეჩავებული და დამონებული ხალხის სარევოლიუციო გზაზე გამოყვანას.

ამ ამოცანის შესრულებით პროფინტერნი შეიძლებს იყოს სრული გამომხატველი საერთაშორისო მუშათა კლასის ინტერესებისა და პლენუმი ალბათ სათანადო დადგენილებებს გამოიტანს ამ იდეის ცხოვრებაში გატარებისათვის.

## ამიერ-კავკასიის პროფკავშირების ყრილობა.

გუშინ ქ. ბაქოში გაიხსნა ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა მე-3 ყრილობა. ამ ყრილობაზე სათანადო ჯამი გაუკეთდება პროფესიონალურ კავშირების წარსულ მუშაობას ამიერ-კავკასიის მასშტაბით და ამავე დროს გამოიმუშავდება მომავალი მუშაობის გეგმა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა პროფესიონალურ კავშირებისთვის. ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ კავშირების მუშაობა ამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული სიძლიერით და სიჩქარით ვითარდებოდა.

ის უმთავრესი ამოცანა, რომელიც იდგა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა პროფესიონალურ კავშირების წინაშე და რომელიც მდგომარეობდა უმუშევართა რიცხვის შემცირებაში—საგრძნობლად იქმნა შესრულებული იმ მხრივ, რომ ამჟამად უმუშევრების რიცხვმა თვალსაჩინოდ დაიკლო. უმუშევრების რიცხვის დაკლება ამიერ-კავკასიის მაშტაბით მოწმობს იმას, რომ პროფესიონალური კავშირები თითეულ რესპუბლიკებში სათანადო მუშაობას აწარმოებდა ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად და შესასუსტებლად.

მაგრამ იმისათვის, რომ მუშაობა ამ მხრივ კიდევ უფრო გაძლიერდეს და მომავალი მე 4 ყრილობისათვის უმუშევართა რიცხვი სავსებით მოისპოს—ამისთვის, რასაკვირველია ამიერ-კავკასიის მე-3 ყრილობა საჭირო დადგენილებებს გამოიტანს, რომელიც სავალდებულო შესასრულებლად გადაეცემა თითეულ რესპუბლიკების პროფესიონალურ კავშირებს. ხოლო ამჟამად მე-3 ყრილობამ თავის მუშაობის პროცესში უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ გარემოებებს:

მუშათა ხელის ის რაოდენობა, რომელიც ეწევა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში სააღმშენებლო მუშაობას უფრო მეტად უნდა იქნეს გააქტივებული და ჩაბმული პროფესიონალურ კავშირების მუშაობაში.

მაგრამ გარდა ამისა, ყრილობა უსათუოდ დიდი ყურადღებით მოეპყრობა პროფესიონალურ კავშირის წევრთა შორის კულტურული მუშაობის გაძლიერებას და მისი საჭირო მაშტაბით გაფართოებას.

უდაო უნდა იყოს ის ფაქტი, რომ კულტურულად გათვითცნობიერებული და კვალიფიციური მუშა-მოსამსახურეს უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის სფეროში. და მაშასადამე მე-3 ყრილობამ თავის დადგენილებებში ის აზრი უნდა გაატაროს, რომ პროფ-კავშირების წევრთა შორის უფრო უნდა გაჩაღდეს და გაღრმავდეს კულტურული მუშაობა.

აი მოკლედ ის უმთავრესი საკითხები, რომელიც მე-3-ე ყრილობის წინაშე დაისმება და რომლის სათანადო გადაჭრა დადებით შედეგებს გამოიტანს ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობისათვის.

ამიტომ უნდა უსურვოთ ამიერ-კავკასიის პროფ-კავშირთა მე-3-ე ყრილობას ნაყოფიერი მუშაობა ქვეყნის საკეთილდღეოთ.

—ნი.

# ახალი რადიო ამბები

## ინგლისური გაზეთები ერთა ლიგაში მდგომარეობის გამწვავების შესახებ

### „ქვეყანა მზადაა კვლავ გადაიჭრას უბედურების მორევში"

ყველა ინგლისური გაზეთები არჩევენ ერთა ლიგის გართულებულ მდგომარეობას და გამოსთქვამენ უიმედობას.

გაზ. „ობსერვერი" ამბობს, რომ ერთა ლიგამ გაიტეხა სახელი. თუ რომ მას ამის მეტი არ შეუძლია, ის განწირულია სასიკვდილოდ."

„სენდეი ტაიმს"-ში მოთავსებულია ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტ—სტიდის წერილი, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „რა იხსნის ქვეყანას ძველებური შეჯიბრისაგან შეიარაღებაში, სადაც ერთი-მეორეს უსწრებს ახალი ომის მოსამზადებაში.

„სენდეი ექსპრესი" სწერს, რომ ძველი მომტრო ჯგუფები კვლავ აღსდგენ უფრო საშიში სახით. ბედუკუღმართი ერები შიშის ქვეშ მიექანებიან საბოლოო ხიფათისკენ.

„დეილი ექსპრესი" ახასიათებს ერთა ლიგის საქმის გამწვავებას შემდეგი სიტყვებით: „ქვეყანა მზადაა კვლავ გადაიჭრას უბედურების მორევში".

ლენსბერიმ ერთ მიტინგზე განაცხადა, რომ ევროპა კვლავ დაუბრუნდა სხვა და სხვა მომტრო ჯგუფების კანკლაობას, რომელიც წინ მიუძღოდა ევროპის ომს. იგივე აზრი გამოსთქვა მეორე მიტინგზე კლაინსმა.

## შვეიცარიის შემთანხმებელთა კომპანია

### ცდილობენ სიმართლე დაუმალონ მუშებს

შვეიცარიის პროფკავშირთა აღმასკომმა, რომელიც შესდგა შემთანხმებლებისაგან, უარი განაცხადა სსრკ-ში დელეგაციის გაგზავნაში მონაწილეობაზე. აღმასკომი ურჩევს მუშებს ნუ დაეხმარებიან დელეგაციებს კავშირის სალაროებიდან ფულის მიცემით, ფულების შეკრებით და სხვა რაიმე საშუალებებით.

## კოლუმბიის ახალი პრეზიდენტი.

კოლუმბიის (ცენტრალური ამერიკა) პრეზიდენტის არჩევნებზე გაიმარჯვა კონსერვატიულმა პარტიამ, რომელიც 30 წელიწადია სათავეში უდგა მართვა-გამგეობას. პრეზიდენტად არჩეულ იქნა მიგუელ აბადია მენდეცი.

კონსერვატიული პარტია მორჩილი იარაღია ამერიკის კაპიტალის ხელში.

## საბჭოთა კავშირში

### რ. ლენინურ ახკომკავშირის საკავშირო ყრილობა.

#### კამათი ჩაპლინის მოხსენების გარშემო

15 მარტის დილის სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. ჩაპლინის მოხსენების გარშემო. ეროვნულ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიუთითეს იმაზე, რომ ცენტრალური კომიტეტი ვერ აქცევდა სათანადო ყურადღებას მუშაობას ეროვნულ ორგანიზაციებში. ვერაა ასრულებული მე-6 ყრილობის დირექტივა საბავშო ლიტერატურის გაძლიერების შესახებ და სხვა.

საბოლოო სიტყვაში ჩაპლინმა აღნიშნა ცეკას მიერ გატარებულ ღონისძიებათა მთელი რიგი და ეროვნულ რესპუბლიკების ორგანიზაციების მიღწევები.

შეჩერდა რა ოპოზიციის გამოსვლებზე, ჩაპლინმა განაცხადა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები ჯგუფურ ინტერესებს პარტიის ინტერესებზე მაღლა აყენებენ და კიდევ სცდილობენ დაუპირისპირონ კომკავშირი პარტიას.

ყრილობამ აირჩია 46 კაცისაგან შემდგარი კომისია ცეკას მოხსენების გარშემო რეზოლიუციის გამოსამუშავებლად.

## თათართა რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობის დახურვა.

დაიხურა თათართა რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობა. ახალი ცაკის შემადგენლობაში არჩეულია 116 კაცი. აქედან 58 პროც. თათრებია და 35 პროც. რუსები, მუშა—10 კაცი, გლეხი—6, ქალი—8. ცაკის თავმჯდომარედ ხელახლად არჩეულ იქნა შაიმარდანოვი, ხოლო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ გაბიდულინი.

## აჭარისტანში

### ჭრა-კერვის სკოლები

აჟარების თხოვნის გამო ქობულეთის სამაზრო კომიტეტი შეუდგა ჭრა-კერვის სკოლების გახსნას მაზრის ყველა თემებში.

## მუშათა საცხოვრ. ბინებისთვის

აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის განყოფილებამ მიიღო კომუნალურ ბანკისაგან სესხად 10.000 მანეთი აჭარისტანის სამრეწველო მუშათა საცხოვრებელ ბინების მოსაწყობად.

## აზერბეიჯანში

### ნავთის ახალი შადრევანი

ბიბიებატის რაიონის მეორე სარეწავზე ამოხეთქა შადრევანმა № 10 ჭაში, რომლის სიღრმე უდრიდა 465 საჟენს.

### ნავთის გატანა

ნავთის სინდიკატმა მიჰყიდა ერთ-ერთ ინგლისის ფირმას 70.000 ტონა ნავთი.

ნავთი იგზავნება ეგვიპტეში.

# მოხსენებების მომზადება და რეზოლიუციები.

ნაწილებში ოქმების გადასინჯვიდან, გეგმების დათვალიერებამ და ამხანაგებთან საუბრებში გამოირკვა, რომ ყველა ნაწილებში ერთნაირათ არ მზადდება და მუშავდება მოხსენებები. ყველგან სხვა და სხვა ფორმებია შემოღებული მოხსენებების მოსამზადებლათ. მხოლოდ ერთ ნაწილში ეს კითხვა უფრო კარგათ არის დაყენებული. აღნიშნულ ნაწილში მოხსენებების მომზადებისათვის გამოყოფილია ერთგვარი კომისია, რომელიც საკითხს ეცნობა და დეტალურად ამუშავებს მას, რის შემდეგ ევალება ერთ-ერთს მოხსენების გაკეთება და მასთან ერთად თანამომხსენებელიც ინიშნება.

ასეთი დამუშავებული მოხსენებები ყოველთვის მეტი შინაარსიანი იქნება და რასაკვირველია ნაყოფსაც მეტს მოგვცემს. კარგი იქნებოდა, რომ სხვა ნაწილებმაც ისარგებლონ ასეთი მაგალითით და თვითონაც თავიანთი მოხსენებები მომავალში უნდა სათანადოთ წინასწარ დაამუშავონ. რის შემდეგ მომხსენებელი მეტი მომზადებული იქნება საკითხში.

აქვე აღსანიშნავ ოქმების ტეხნიკურ მხარის უვარგისობას. ხშირათ შეხვდებით ლია კრებების ოქმებს, სადაც მოხსენებების თითქმის მთელი ტექსტია მოყვანილი.

ოქმის შინაარს ეტყობა, რომ მდივანი მოწადინებული ყოფილა, რომ ერთი სიტყვაც არ გამორჩენოდა და დაეწერა ყველა სიტყვები მომხსენებლის. ასეთივე შეცდომაა დაშვებული დადგენილებაშიც, სადაც რეზოლიუციაში მთელი წილადობილოა მოყვანილი. აგრეთვე ნახავთ ისეთ ოქმებს, სადაც გაიგებთ თუ რა თემა იყო მოხსენებისათვის, დადგენილებაში კი ვერ გაიგებთ რეზოლიუციის შინაარს. ასეთ ოქმებში ხშირად ნახავთ ასეთ ადგილებს: „არ დავხრით ლენინის დროშას ძირს! გავიტანთ ლენინის სისხლიან დროშას ლელოზედ!, მივიღეთ ცნობათ“ და ზოგჯერ ვერც გაიგებთ რეზოლიუციის შინაარს.

შეიძლება ზოგიერთებს ზედმეტი სიქმე გონიათ ოქმების წერა და რეზოლიუციების გამოტანა. მაგრამ ეს, რომ ასე ყოფილიყო პარტია მასზედ უფრო ადრე იტყოდა უარს. მაგრამ ოქმების წერა და რეზოლიუციების გამოტანა ეს არის ის საბუთები, რომლის შემწეობით ირკვევა მუშაობა და ცხოვრებაში გატარება იმ დადგენილებების, რაც იწერება ოქმებში. ასე, რომ ადგილობრივმა პარტ-ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ოქმების მოწესრიგების საქმეს. რაც შეეხება დადგენილებების შინაარს, ამ შემთხვევაში უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მის რედაქციის მხარეს. მაგრამ შეიძლება შემეკითხოს ვინმემ: „თუ ვინ უნდა გაასწოროს რეზოლიუციის რედაქცია?“ ამ შემთხვევაში სამი გამოსავალი გვაქვს. კრების თავმჯდომარე, მდივანი და თვით მომხსენებელი. ამ სამ პიროვნებაში ერთს მაინც შეეძლება რედაქციული შესწორების შეტანა შემოსულ რეზოლიუციის და თუ ვერც ამათმა შესძლეს იმ შემთხვევაში კრებაზედ მაინც იქნება ისეთი პირი, რომელიც შესძლებს მის შესწორებას.

მე კი მგონია, რომ პირველობა ამ შემთხვევაში უნდა მივაკუთვნოთ თავმჯდომარეს და მომხსენებელს. თუ შემდეგში არ მივაქციეთ ყურადღება ოქმების ტეხნიკურ მხარეების გამოსწორებას ასეთი ნაკლი მუდამ დარჩება.

აქვე კიდევ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი:

დადგენილებაში არც ერთი კითხვა არ უნდა იქნეს მიღებული ცნობათ, არამედ დადგენილებებში ყოველთვის უნდა იყოს მითითებული დეფექტებზედ და მისი აღმოსაფხვრელი საშუალება რა და როგორ უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში. ვის უნდა დაევალოს მისი გატარება და სხვა ერთი სიტყვით სიტყვა „მივიღეთ ცნობათ და სახელმძღვანელოთ“—ეს მშრალი ფრაზაა, რომლის შინაარსი ვერ მოგვცემს სათანადო დირექტივებს, მისი ცხოვრებაში გატარებისათვის. არამედ საჭიროა ისეთი შინაარსის დადგენილებების მიღება, რომელიც უნდა გატარდეს ცხოვრებაში. მე მგონი ეს ნაკლიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს შემდეგში.

ს. ლომიძე.

# უფშემადგენლობის პოლიტმომზადების ორგანიზაცია.

უფშემადგენლობის საერთო და პოლიტიკურ მომზადების დარგში, მომზადების ძირითად ფორმათ უნდა ჩაითვალოს თვითმომზადება. უფშემადგენლობის პოლიტიკურ მომზადებისათვის დღეს უკვე საკმარისი გამოცდილება გვაქვს. აქ ჩვენ მხოლოთ შევეხებით, თუ როგორ უნდა იქნეს ეს მომზადება მოწყობილი პირველ ლეგიონში.

ჩვენის აზრით თვითმომზადებისათვის საჭიროა სწარმოებდეს თემების კოლექტიური და არა ინდივიდუალური დამუშავება. არსებითად ეს შემდეგში გამოიხატება: ის მეთაურები, რომლებმაც თანახმად ბრძანებისა № 1515 უნდა გაიარონ პოლიტმომზადება, ჩვენ დავყავით ჯგუფებათ. თვითეული ჯგუფი შესდგება 8—10 კაცისაგან. ყოველ ჯგუფს ყავს თავისი კონსულტანტი (რომელიც არ შედის ჯგუფის რიცხვში) და „სტაროსტა“, რომელიც შედის ჯგუფის რიცხვში და რომელიც ინიციატორი და პასუხისმგებელია ჯგუფის რეგულიარული მეცადინეობის. კონსულტანტი ხელმძღვანელობას უწევს თავის ჯგუფს თვით თემების დამუშავების საქმეში. ჯგუფებს ეძლევათ კვირეული და ორკვირეული თემები. თვითეული თემის დასამუშავებლათ, ჯგუფს ეძლევა კომისიის მიერ გამომუშავებული და დამზადებული საჭირო ლიტერატურა. ჯგუფი იკრიბება პოლიტიკურ კაბინეტში, ასეთისათვის განსაზღვრულ და მიჩენილ კუთხეში. კონსულტანტ-ხელმძღვანელებს ნიშნავს კომისია, გ/კ ისა და სამხედრო კომისარის თანხმობით.

ჯგუფების მეცადინეობა კონკრეტიულათ შემდეგ ფორმებში ისახება: თემის დამუშავებისათვის განსაზღვრულ ვადაში (ავიღოთ ერთ კვირეული თემა), ჯგუფის ყველა წევრები აწარმოებენ ინდივიდუალურ მეცადინეობას, ხოლო საჭირო ცნობებისა და რჩევა-დარიგებათა მისაღებათ ყოველთვის მიმართავენ კონსულტანტს—ხელმძღვანელს. როდესაც თავდება ეს ვადა, კონსულტანტი „სტაროსტას“ საშუალებით მოიწვევს ჯგუფის კრებას, სადაც კოლექტიურათ იქნება დამუშავებული ის, რაც ინდივიდუალური მუშაობით უკვე მომზადებული იყო—ამხანაგების რიგ-რიგობითი მოხსენებების სახით. ამგვარათ ხდება კვირეული და ორკვირეული თემების კოლექტიური დამუშავება. მეორე საკითხი, რომელსაც ჩვენ გვიყენებს ბრძანება № 1515, არის თვითმომზადება საერთო განათლების საგნებში, სახელდობრ: ბუნებისმეტყველებაში, მათემათიკაში, გეოგრაფიაში და სახელმწიფო ენაში.

დ. მელაძე.

(შემდეგი იქნება)

# სამხედრო საქმე

## როგორ სწარმოებს ხოხვით წინსვლა

შეტევის დროს გადარბენის გარდა მეომარს მოუწევს ხოხვა. ასეთ საშუალებას მიმართავენ უმთავრესად ახლო მანძილზე, როცა დგომილა მოძრაობა (გადარბენა) შეუძლებელია გაშლილი ადგილისა და მტრის ძლიერი ცეცხლის გამო. გადახოხვა საშუალებას აძლევს მსროლელს შედარებით ფარულად იმოძრაოს და ამრიგად ის, როგორც მიზანი, მცირე ხდება მტრისთვის და საშუალებას აძლევს შეუმჩნევი დარჩეს მოპირდაპირის მოთვალთვალისა და მეომრის მხრივ.

მეორეს მხრივ ხოხვა მეტად ძნელია და ბევრი მეომარი ჯერ კიდევ ამას კარგად ვერ ასრულებს. ეს მოითხოვს ხანგრძლივ ვარჯიშს, რაც ჩატარებულ უნდა იქნას საველე მეცადინეობის დროს.

პლასტუნური ხერხი მდგომარეობს იმაში, რომ მსროლელი დაწვება მუცელსა და მკერდზე და მჭიდროდ გაეკვრება მიწას მთელი სხეულით, ნახევრად მოდრეკილი ხელები უჭირავს რამოდენიმედ განზე. გადახოხვისთვის ერთი ფეხი (მარჯვენა ან მარცხენა) უნდა მოჰხაროს მუხლში, დაეყრდნოს მიწას და იმავ დროს ხელზე დაყრდნობილი სხეული მოხრილი ფეხით წინ უნდა წასწიოს. ამ რაგად მსროლელი მოძრაობს წინ ფეხების შენაცვლებით. ამასთან შაშხანა უჭირავს მარჯვენა ხელში, საკეტით თავისკენ. წინსვლის ეს ხერხი საკმაო ჩქარია, ნაკლებად ღლის მსროლელს და იმავ დროს კარგად იფარება მსროლელი მტრის თვალისაგან. მაგრამ პლასტუნური ხერხით ხოხვის დროს მსროლელს უნდა ახსოვდეს შემდეგი: სხეულის წინ წაწევის დროს უნდა ეხებოდეს სხეული დიდად არ მოაშოროს დედამიწას, ტლანქი მოძრაობა არ გამოუვიდეს, დაბლა ეჭიროს თავი და არ აიღოს ხელიდან შაშხანა მაღლა.

მეორე ხერხი, ანუ ზღვის ძ[illegible]ღლურად გადახოხვა მდგომარეობს იმაში, რომ მსროლელი წამოწოლილია თავისუფლად მიწაზე, ფეხები გაწვდილი აქვს ერთად, ხელები გაწვდილი აქვს წინ და შაშხანა უჭირავს სავაზნე კოლოფით წინ (ერთი ხელი მოჭერილი აქვს კონდახის ყელზე, ხოლო მეორე ქვედა რგოლის ზემოდ). მოძრაობა სწარმოებს ხელებით, დასაყრდენს წარმოადგენს შაშხანა. მოძრაობის დროს წინ წაწევას ხელს უწყობს ფეხის თითის წვერები. ეს ხერხი ნელია, მსროლელი ადვილად იღლება, მაგრამ სამაგიეროდ ასეთი მოძრაობის დროს მსროლელი უფრო უჩინარია.

მესამე ხერხი—ნიდაყვებით გადახოხვა სწარმოებს იმ შემთხვევაში, როცა მსროლელი იმყოფება არა გაშლილ, არამედ რომელიმე ჩაღრმავებულ ან მოფარებულ ადგილზე. ეს ხერხი მდგომარეობს იმაში, რომ მსროლელი გაწვდილია მიწაზე, ფეხები უჭირავს ერთად და დაყრდნობილია ნიდაყვებზე. შაშხანა უჭირავს მარჯვენა ხელში, ხელსა და სხეულს შუა. თავი რაც შეიძლება დახრილი უნდა იქნას მიწაზე. სხეული მოძრაობს ხელების გადანაცვლებით და ფეხის წვერების გადანაცვლებით. ამასთან ერთად უნდა სცდილობდეს, რომ სხეულით არ გააკეთოს მოძრაობა აქეთ-იქეთ და არ აიღოს მაღლა თავი და ფეხები.

ი. ბ.

# საპასუხისმგებლო მუშაობა.

(რევსაბჭოს ბრძანების № 1274 ცხოვრებაში გატარების შესახებ).

ყველამ იცის, თუ რა დიდი ყურადღება ექცევა ჩვენი ხელისუფლების მიერ სათადარიგო უფშემადგენლობას: სწარმოებს მათი აღრიცხვა, განზრახულია მათ შორის მუშაობის წარმოება და სხვ.

თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის მზადება ჩვენ ნაწილებში სწარმოებს აგრეთვე იმ წითელ არმიელებისგან, რომელთაც აქვთ დამთავრებული საშუალო განათლების სკოლა. თავის მოხსენებაში წითელ არმიის არსებობის 8 წლის თავზე ა. წ. 23 თებერვალს ამხ. ვოროშილოვი ამბობს:

„ჩვენ არ ვფიქრობთ გამოვიყენოთ რიგის მებრძოლად ის ახალგაზრდობა, რომელსაც აქვს დამთავრებული საშუალო და უმაღლესი სკოლები,—ეს იქნებოდა ჩვენი სახელმწიფოს ძალების და საშუალებების დაუშვებელი ხარჯვა. ყოველივე იმ პირს, რომელსაც აქვს დამთავრებული საშუალო და მით უმეტეს უმაღლესი სწავლა ჩვენ გავხდით სათადარიგო მეთაურად და ომის შემთხვევაში გამოვიყენებთ მას, როგორც ხელმძღვანელად, როგორც მეთაურად ჩვენი ნაწილებისათვის“.

სწორედ ამ მიზნით არის რევსაბჭოს მიერ გამოშვებული ბრძანება № 1274, რომელიც ეხება სამხედრო სამსახურის გავლას იმ წითელ არმიელების მიერ, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება. უკანასკნელები ჯარში გამოწვევის შემდეგ პირველ ორ თვის განმავლობაში გადიან სწავლებას ასეულებში—სხვა წითელ არმიელებთან ერთად, რის შემდეგ იგზავნებიან ლეგიონის სკოლაში. სკოლის ექვს თვიან კურსის დამთავრების შემდეგ, ისინი ინიშნებიან ათეულის თავად, რომლის თანამდებობაზე უნდა დაჰყონ თავის სამხედრო სამსახურის ერთი წლის შესრულებამდე, ე. ი. მხოლოდ რამოდენიმე თვე. სამსახურიდან განთავისუფლება მოხდება, მხოლოდ თადარიგის ოცის თავის თანამდებობაზე გამოცდების ჩაბარების შემდეგ.

თადარიგის ოცის თავის მნიშვნელობა მეტად დიდია. პირველად ის იქნება ჩარიცხული ტერნაწილის ცვალებად შემადგენლობაში, რის გამო მოუხდება მას მომავალში მუშაობა მეტად რთულ პირობებში. ამ შემთხვევაში მეტად დიდი პასუხისმგებლობა აწვება მას წვევამდელთა მზადების ჩატარებით. ყოველივე ეს აყენებს თადარიგ მეთაურთა შემადგენლობის პირთა წინაშე დიდ მოთხოვნილებებს: სამხედრო და პოლიტიკურ მეცადინეობის მეთოდიურ მხარეში, დისციპლინის შეთვისების და წესდებების ცოდნაში, პოლიტიკურ მომზადებაში და სხვა და სხვა. რამდენად უკეთესად იქნება დაყენებული ჩვენ ლეგსკოლებში მეცადინეობა საშუალო სწავლის მქონე წითელ-არმიელებთან, იმდენად მომზადებული თადარიგის ოცის თავები იქნებიან გამოშვებული. მხოლოდ ჩვენ გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ამ მხრივ არ გვაქვს ყველაფერი რიგზე დაყენებული.

წარსულიდან ჩვენ ვიცით, რომ გასულ წელს იქნა გამოშვებული ჩვენი ქართული დივიზიის მიერ, მხოლოდ ათი თადარიგის ოცის თავი, როდესაც საშუალო განათლების პირთა რაოდენობა მრავალჯერ ამ რიცხვზე მეტი იყო. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ცალკე ერთეულების უფროსების მიერ არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება ამ საქმეს.

1903 წელმა აგრეთვე მოგვცა მოკლე ვადიანთა საკმაო რიცხვი, რომელნიც ამ ჟამად გადიან მეცადინეობას ლეგიონების სკოლებში. მხოლოდ ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ მიზეზების გამო ნაწილი მოკლევადიანებისა დარჩენ სკოლის გარეშე. ამ შემთხვევაში ყოვლად დაუშვებელია მათი გამოყენება საადმინისტრაციო—სამეურნეო და უმწყობრო თანამდებობებზე (გადამწერად, კანცელარიის მოხელედ და სხვა). სამწუხაროდ ასეთ მიზანშეუწონელ და უკანასკნელ და უკანონიერო გამოყენებას მოკლე ვადიანებისა მაინც აქვს ადგილი.

თვით სკოლებში მოკლევადიანებთან მეცადინეობის წარჩინებით დაყენების მიზნით მეტად სასარგებლოა, რათა მოკლევადიანებისგან შესდგეს განსაკუთრებული ოცეულები და ჯგუფები, ცხადია თუ მოკლევადიანთა რაოდენობა შეუწყობს ამას ხელს. რათა ამის შემდეგ არ მოხდეს მოკლევადიანთა ჩამოშორება დანარჩენ მასისგან აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რათა თვითეული მათგანი იქნეს მიმაგრებული ლეგსკოლაში არსებულ ბირთვებს და ჯგუფებს, საერთო—საგანმანათლებელ და თვითგანვითარებითი მუშაობის წარმოებისათვის სკოლების იმ კურსანტებთან, რომელთაც არ აქვთ საშუალო განათლება. სინამდვილეში ჩვენ იშვიათად ვხედავთ ლეგსკოლებში მოკლევადიანების ჯგუფებს და ამავე დროს აქვს ადგილი მოკლევადიანების აქტიურ მუშაობის გამოყენების საქმეში ერთგვარ გაჯახრას, რაც გამოიხატება მათი დატვირთვაში სკოლის გარეშე, პარტიულ, კომკავშირის მუშაობით და აგრეთვე პოლიტმეცადინეობის ჩატარებით წითელ არმიელებთან. მათთვის ასეთ არანორმალურ პირობების შექმნის შემდეგ ჩვენ ვერ ვიქნებით დარწმუნებული იმაში, რომ მოკლევადიანები ჯარში ერთი წლის დაყოფის და სწავლების შემდეგ შესძლებენ იმ გამოცდების ჩაბარებას, რომელიც მისცემს მათ თადარიგის ოცის თავის წოდებას და აანთავისუფლებს დანიშნულ დროზე ჯარში სამსახურისაგან. ყოველგვარ მუშაობით კი ზედმეტი დატვირთვა დააზიანებს მათი სამხედრო სწავლების საქმეს. მოკლევადიანებით შევსება ლეგიონის სკოლებში ეხლახან დაიწყო რის გამო ზემოდ დასმულ საკითხებს უნდა მიექცეს ახლავე განსაკუთრებული ყურადღება, ვინაიდან ახლოვდება საბანაკო პერიოდი, რომლის დაწყების შემდეგ უკვე გვიანდა იქნება აღნიშნულ საკითხების გადაჭრა.

დ სკვნა

1. ნაწილის (ლეგიონის) უფროსის თანაშემწეს უნდა დაეკისროს მთელი პასუხისმგებლობა მოკლევადიან წითელ-არმიელთან სწავლების დაყენების საქმეში.

2. მეტად სასურველია, რომ ლეგსკოლებში მოკლევადიანებისაგან შემდგარ ჯგუფის ან ოცეულის გამოყოფა სათანადოთ მომზადებული უფპოლიტ შემადგენლობით.

3. გეზი უნდა იქნეს აღებული მოკლევადიან კურსანტების თვითმომქმედ მუშაობაზე, რათა ამით ისინი პრაქტიკულად დახელოვნდნენ იმ თვისებების შესაძენად, რომელიც ეთხოვება ყოველ მეთაურს.

4. მოკლევადიან კურსანტების გამოცდებისათვის მზადების დროს, საჭიროა თვითეულ მათზე ინდივიდუალური მიმაგრება მეთაურთა შემადგენლობის პირთა.

5. და რაც უმთავრესია—მოკლევადიან კურსანტის დრო ისე უნდა იქნეს მოწესრიგებული, რომ მას ქონდეს საშუალება განსაზღვრულ დროის განმავლობაში არსებულ პროგრამის გავლისა.

ი. რუდოვსკი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## 1-ლი ლეგიონი მანევრებზე.

1-ლი ათასეული.

მარტს დილით ადრე ლეგიონის 1-ლი ათასეულის შემადგენლობა გაემგზავრა მანევრების საწარმოებლად. წითელარმიელების სიხარულს საზღვარი არ ქონდა. ყველას აინტერესებდა ველში თავისი თავის გამოცდა. დაუახლოვდით ვაკეს, წყნეთს, სადაც მეთაურებმა გაგვაცნეს ადგილმდებარეობა და როგორ უნდა შევხამებოდით მას, რომ მტრის ავიაციისაგან შესაძლებელი ყოფილიყო თავის დაცვა. აგვიხსნეს აგრეთვე ისეთი მდგომარეობის შესახებ, როდესაც ჩვენი გასავლელი ადგილი მტრის მიერ ქიმიური აირებით არის მოწამლული და რა ღონისძიებებს უნდა მივმართოთ ასეთ შემთხვევებში.

ყველა ამის შემდეგ ნაწილის მთელი შემადგენლობა გაიყო ორ ნაწილად. ერთი ნაწილი გაემართა სანიშო გორისკენ, მეორე ნაწილი კი მეორე მხრით გაეშურა. ამ ხნის განმავლობაში შესრულებული იქნა რამოდენიმე ამოცანები წარმატებით, რის შემდეგ შევკრივდით კოჯორის საზაფხულო სახლებში დასასვენებლად.

სადილის შემდეგ მოკლე მოხსენებით გამოვიდა ამხ. დ. მელაძე, რომელმაც ჯამი გაუკეთა ჩვენს მოძრაობას. ამხანაგის აზრით მანევრები საერთოდ წარმატებით ჩატარდა, რის შემდეგ სიმღერით გამოუდექით გზას ლეგიონისაკენ.

სამხკორი ვ. უ—ძე.

## როგორ ჩავატარეთ დღესასწაულები.

მე-2 მესანგრე ასეული.

მეორე მოკლე ვადიანი შეკრების დამთავრების შემდეგ, ჩვენი ასეული შეუდგა მომავალი დღესასწაულების ჩატარებისთვის მზადებას. პირველად ჩავატარეთ საერთაშორისო ქალთა დღე. ამ დღის აღსანიშნავად, 7 მარტს საღამოს, ლენკუთხეში ჩატარებული იქნა საუბარი დღესასწაულის მნიშვნელობაზე. გამოფენილი იქნა სათანადო მასალები. 8 მარტს საღამოს კომუჯრედის ხელმძღვანელობით მოწვეული იქნა ღია კრება, რომელსაც დაესწრო ასეულის შემადგენლობა, გაკეთებულ იქნა მოხსენება საერთაშორისო ქალთა დღის წარმოშობასა და მნიშვნელობაზე. მომხსენებელმა გააშუქა აგრეთვე ქალთა მიღწევები ს. ს. რესპუბლიკებში. შემდეგ შეუდგით მეორე დღესასწაულის—12 მარტის ჩატარებას. ლენკუთხეში იმართებოდა საუბრები. გამოვიდა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი. წითელარმიელები და უფ-პოლიტშემადგენლობა დიდ ყურადღებას აქცევდენ დღესასწაულის ჩატარებას. კუთხეში გამოფენილი არის მასალები დღესასწაულის მნიშვნელობაზე. დრამატიულმა დასმა დადგა საღამო-წარმოდგენა, ჩვენს შეფ სამოქალაქო ორგანიზაციასთან ერთად.

სამხკორი სანდროშვილი.

## ჩვენი ნაწილების კავშირი სოფელთან.

### არ გვივიწყებენ.

სოფელ ერეთზე (ცხინვალის რაიონი) აღებული აქვს შეფობა მე-4 ლეგ. ცხინვალის ასეულს, რომელიც ყოველგვარ დახმარებას გვიწევს. დაგვიარსეს სამხედრო კუთხე, რომლისთვისაც სისტემატიურად გვიგზავნიან მომზადებულ ამხანაგებს და ატარებენ სხვა და სხვა სამხედრო მნიშვნელობის საუბრებს. ასეული კარგ ხელმძღვანელობას უწევს აგრეთვე ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს—განსაკუთრებით ახკომკავშირის უჯრედს.

ამ რამოდენიმე დღის წინად ასეულმა თავისი კომუჯრედის მორიგი სხდომა გადმოიტანა სოფ. ერეთის კომუჯრედში, რასაც დიდი აღფრთოვანებით შეეგებენ სოფლის პარტამხანაგები.

დიდი მადლობა ხსენებულ ასეულს, რომ მას არ ავიწყდება თავის შეფობის ქვეშ აყვანილი სოფელი და მთელ ენერგიას ახმარენ ადგილობრივი გლეხობისა და ახალგაზრდობის განვითარების საკითხს.

გაუმარჯოს ჩვენს საამაყო შეფს!

ცვალებადელი დ. მჭედლიძე.

## 1-ლ საარტილერიო ლეგიონის საკავშირო კომისიის მუშაობა.

ლეგიონში საკავშირო კომისია ჩამოყალიბდა 1-ლ დეკემბრიდან, დაყოფილ იქნა სამ სექციად. თითეულ მათგანს ხელმძღვანელობს სექტორები. ყველა ბატარეებში იქნა დაარსებული ცნობათა ბიუროები. ჩატარდა ბატარეების მაშტაბით საუბრები საკავშირო კომისიის მნიშვნელობის და ამოცანების შესახებ. თავისი არსებობის სამი თვის განმავლობაში საკავშირო კომისიამ შესძლო ბევრი რამის გაკეთება. მოაწყო ექსკურსიები სხვა და სხვა ადგილებზე, როგორიცაა სარევოლიუციო მუზეუმი, ზოოლოგიური მუზეუმი, ტრამვაის ცენტრ. ელსადგური, თამბაქოს ქარხანა და სხვა. დღემდე საკავშირო კომისიამ გაარჩია წითელ არმიელების 163 სხვა და სხვა სახის განცხადებები. 109 წ. არმიელს მიეცა სათანადო მოწმობები სასოფლო—სამეურ. გადასახადის შესახებ, რასაც ადგილებზე დიდი ყურადღება ექცევა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ მცირე შემთხვევებს. 8 წ/არმიელის განცხადებები, რომლებიც ეხებოდენ წ/არმიელის ტყის გაჩეხვას, ოჯახიდან სასოფლო სამეურნეო გადასახადის გადაუხდელობისთვის ძდგ. აღმასკომის მიერ ქვეშაგების წაღების შესახებ და სხვა, გადაეგზავნა სამხ. პროკურორს კვლევა ძიებისათვის.

გადაგზავნილ იქნა აგრეთვე სხვა და სხვა სახის განცხადებები მაზრის აღმასკომებთან, რომლებიც გვიპასუხებენ დადებითად და უწევენ სათანადო დახმარებას წ/არმიელების ოჯახებს.

საკავშირო კომისიის შუამდგომლობით ლეგიონის ორ წითელ არმიელს მიეცა სახლისათვის ხე-ტყე სრ. უფასოთ თელავის და ქუთაისის სატყეო განყოფილებიდან და სხვა. არსებობს მჭიდრო კავშირი სამხ. ნაწილებთან და სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

განზრახულია ამ ახლო მომავალში კავშირი იქნეს დაჭერილი თბილისის ახლოს მდებარე ერთ-ერთ სოფელთან.

სამხკორი ჩერქეზია.

## დავამთავრეთ მეცადინეობა

ქ. ონის წვევამდელთა წერტი.

ონის წერტზე უკლებლივ გამოცხადდენ წვევამდელები დანიშნული დროისთვის. მეცადინეობის მთელი ხნის განმავლობაში ენერგიულად ეკიდებოდენ ამხანაგები საქმეს. დაარსებული იქნა სხვა და სხვა ხასიათის წრეები. ჩამოყალიბდა ახკომკავშირის ჯგუფი, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა უპარტიო წვევამდელებს შორის.

ასე მწყობრად მიმდინარეობდა მუშაობა გამოცდებამდე, რომელიც დანიშნული იყო ხუთი მარტისთვის და რომელსაც ამხ. ს. გიორგობიანიც დაესწრო. კომისია მეტად კმაყოფილი დარჩა წვევამდელთა სამხედრო და პოლიტიკური მომზადებით. მეორე დღეს მოხდა მოკლე ვადიანი შეკრება ცვალებადელების. მათთან ერთად შესდგა წვევამდელების გაერთიანებული კრება. გაკეთებული იქნა მოხსენება საერთო შეკრების მნიშვნელობაზე და მათი—ცვალებადელების სოფლად მუშაობის შესახებ. დასასრულ დაიდგა წარმოდგენა. მონაწილეობას ღებულობდენ წვევამდელები და ადგილობრივ ცხრა წლედის მოწაფე ქალები. წარმოდგენით დამსწრე საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა.

სამხკორი ალავიძე.

## ჩვენს სამხკორთა შორის

ცხენ. ლეგიონის სამხკორთა წრე.

ლეგიონში სამხკორთა რიცხვი ამ ჟამად 15—17 კაცამდე აღწევს. მუშაობა დამაკმაყოფილებლად სწარმოებს. ზოგიერთი სამხკორები ცოტა მოიკოჭლებენ გაზ. „წითელ არმიელში" თანამშრომლობაზე, მაგრამ სამაგიეროდ აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ლეგიონის და ესკადრონების კედლის გაზეთებში.

სამხკორთა წრე ახალი დაარსებულია, მაგრამ მაინც ენერგიულად აწარმოებს მეცადინეობას. მუშაობა ამის გამო გეგმიანათ და სისტემატიურად სწარმოებს. კედლის გაზეთების მუშაობაში თითქმის ყველანი არიან ჩაბმული. წითელ არმიელები ძლიერ დაინტერესებული არიან მასალების მოწოდებით. სწერენ ნაწილში არსებულ ნაკლულოვანებებზე, რომლებიც სასწრაფოდ სწორდება ნაწილის უფროსებისაგან.

თუ როგორ უყურებენ ნაწილის წითელ არმიელები კედლის გაზეთებს ნათლად სჩანს ერთი წითელი არმიელის სიტყვიდან, რომელიც ამბობდა: „კაცო რა ყოფილა ეს კედლის გაზეთი, კარგ რამეს გააკეთებ გაგწერენ შიგ, ცუდს გააკეთებ მაინც გაგწერენ, მაშასადამე ყოველთვის კარგი უნდა ვქნათ, რომ ყოველთვის კარგად გამოგვიყვანონ გაზეთში."

ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ინტერესით ეკიდებიან კედლის გაზეთების გამოშვების საქმეს, რაშიდაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ლეგიონის სამხკორთა წრეს.

სამხკორი პ. ნ ნე შვილი.

## ქართულ წითელ არმიის აღმშენებლობის 5 წლის თავი ახლოვდება. დააჩქარეთ მასალების გამოგზავნა რედაქციაში.

## პარიზის კომუნა

(სურათებში)

კონფერანსიე: (იძახის) პარიზის კომუნა!..

ეს იყო 55 წლის წინად, როდესაც საფრანგეთის მშრომელი ხალხი, მეფის, არისტოკრატიის, ბურჟუაზიის გამო, სისხლიდან იცლებოდა პრუსიელებთან უაზრო ომში დამარცხების შემდეგ, როდესაც გერმანელი ჯარები ალყად ერტყენ პარიზს, მოითხოვდენ 5 მილიარდ ოქროს (ფრანკს) საომარ კონტრიბუციას, როგორც გამარჯვებული, და ეს გადასახადი მშრომელთ აწვებოდა კისრად; მეფე ლუი-ნაპოლეონი ტყვედ იყო ჩავარდნილი სედანთან, ბურჟუაზიული მთავრობა ვერ უძლვებოდა ქვეყნის მართვა-გამგეობას და, კომუნის გამოცხადებისას ქ. ვერსალში გაიქცა, ჯალათ ტიერის მეთაურობით და, თან გაიყოლა თავისი ერთგული ჯარები; ნაციონალური გვარდია კი კომუნარებს მიემხრო...

ეს იყო 1871 წ. 18 მარტს.

სურათი პირველი.

(ფარდა აიხდება. ქუჩა. სახლის კუთხეებში მოსჩანს დამალული პატრი—ლოცვით, ბურჟუა—დაღონებული, არისტოკრატი — შეშინებული, მდიდარი ქალი—გაბრაზებული, საერთოდ ყველა შეშინებულია. შორს ისმის ხმაური, სიმღერა):

1-ლი ხმა: ძვირფასო ძმებო, დებო, პარიზის მოქალაქენო, დღეს გამოცხადდა კომუნა, გაუმარჯოს ხალხს!

მე-2 ხმა: გაუმარჯოს სახალხო მთავრობას!

მე-3 ხმა: გაუმარჯოს საფრანგეთის მშრომელებს!

მე-4 ხმა: გაუმარჯოს აჯანყებულ პარიზს!

ერთად: გაუმარჯოს კომუნას!

კომუნარები: (გამოივლიან წითელი დროშებით, სიმღერით)

ძმანო, წინ, წითელ დროშებით,—
დავაგუგუნოთ სიმღერა;
ავქარგოდ, კომუნა შევებით,—
რომ ისმას ძლევის სიმთ ჟღერა!..

—

გაჰქრა ჯალათი ტიერი,—
და მისი მომხრენი, ყველა;
კომუნა შევქმნათ ძლიერი,—
რომ მშრომელთ ეღირსოს შველა!..

1-ლი კომუნარი: გაუმარჯოს კომუნას!

მე-2 კომუნარი: გაუმარჯოს თავისუფლებას!

ყველა: (გადიან, სიმღერით)
ძმანო, წინ, შურისძიებით,—
ბურჟუა ავაღრიალოთ;
არისტოკრატი, ტყვიებით,—
დავცხრილოთ, გავატიალოთ!.
(გადიან)

პატრი: | ერთად, შეიძლება ატირებულ სიმღერით.
ბურჟუა: |
არისტოკრატი: |
მდიდარი ქალი: |

ო, წყეულ იყავთ კომუნარებო,—
რომ ჩამოგვართვით ძალაუფლება;
არ გაპატიებთ, თქვენ, ბრბოს ჯარებო,—
დიდხანს არ იქნებით ასე ხელ-უხლება!..

პატრი: ოი, მადონა, ღვთისმშობელო, ქალწულო მარიამ, შენ დაგვიხსენი ამ ბოროტებისაგან!

ბურჟუა: ყველამ ეხლა თავები მოვიკატუნოთ, ვინც პარიზში დავრჩით, ვითომც კომუნას მივემხრენით და, ველოდოთ დროს, ვიდრე ჩვენები შემოუტევდენ, და...

არისტოკრატი: მე, აქ დარჩენილ ჩვენი მომხრეებისაგან შევადგენ ფარულ რაზმს, რომ...

მდიდ. ქალი: მე მათთან სამსახურში შევალ, შევკრებ ცნობებს, თუ რას აპირობენ და, გადმოგცემთ ჩუმად...

ბურჟუა: ჰო, კარგს იზამთ; ეგენი მაინც ჰუმანიური ხალხია და ვისარგებლოთ ამით, და, შემდეგ... მაგრამ, ჩუ! ვიღაცები მოდიან. (იმალებიან, ისმის ხმაური, სიმღერა კომუნარებისა):

ძმანო, წინ, ამაყ ძახილით,—
პარიზის მღელვარ ქუჩებზე;
ხელში, გამგმირავ მახვილით,—
ჩვენი კომუნის ურჩებზე!..

ფარდა.

კონფერანსიე: ...და, მართლაც არ გასულა დიდი ხანი, რომ ვერსალის მთავრობამ,—იმ დროს, როდესაც პარიზის კომუნარები ახალ მართველობის მოწყობაში, კომუნის მშენებლობაში იყვნენ გართული,—შეჰკრიბა ჯარები, გამოიხსნა გერმანიაში მყოფი ტყვე ჯარისკაცები, დარაზმა და შემოუტია პარიზს; დაიწყო სასტიკი ბრძოლები—ჯერ ქალაქის მიდამოებში და, შემდეგ, თვით ქუჩებში, რომლებიც ხელიდან ხელში გადადიოდა რამოდენიმე დღის განმავლობაში; კომუნარები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდენ; ყველგან აიგო ბარიკადები, ყველა მშრომელი პარიზელი: კაცი, ქალი, ბავშვი იცავდა საყვარელ კომუნას...

სურათი მეორე.

(ქუჩა. ბარიკადა, რომელზედაც ფრიალებს წითელი დროშა. სასტიკი ბრძოლაა, კომუნარები იგერიებენ შემომტევ ვერსალელებს, საიდანაც მოისმის ბუკი, დაფი, ხმაური, სროლა. აქედანაც უპასუხებენ. ზოგი ეცემა, დაჭრილი, მოკლული, ძახილით:

„გაუმარჯოს კომუნას!"

ვაჟი კომუნარი: კომუნარებო გვიტევს ვერსალი,—
და, სისხლში აღრჩობს ჩვენსა კომუნას!..

ქალი კომუნარი: პარიზის ქუჩებს ედება ალი,—

ბავშვი კომუნარი: ჩვენ, მტრებს ვაჩვენებთ, ბრძოლაში, უნარს!..

ყველა: (მღერიან) ძმანო, წინ, ბარიკადებზე,—
სად სისხლის დროშა ფრიალებს;
და, მის ელვარე კალთებზე,—
კომუნა მზის სხივს ფიალებს!..

—

ძმანო, წინ, როგორც გრიგალი,—
დავცხოთ მტერს, ბრძოლის ველებზე;
ვით მოვითმინოთ ვერსალი,—
ბორკილს კვლავ გვადებს ხელებზე!..

—

ძმანო, წინ, კომუნის დაცვად,—
პარიზის წითელ კედლებზე;
ტიერი, გალიფე, დაწვად,—
დავკეთ ცეცხლით მბუკ ეკლებზე!..

(ისმის ხმაური, სროლა, ყიჟინა)

ფარდა.

(შემდეგი იქნება)

ს. ერთაწმინდელი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ცხენ. ლეგ. პარტსკოლები.

ლეგიონში ამჟამად არსებობს 1-ლი, და 2 საფეხურის და ოთხი კომკავშირის პარტსკოლები. მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურად ყოველ შაბათობით.

(სამეცადინო დღეთ შემოღებულია შაბათები). პარტიის კანდიდატები და კომკავშირელები სისტემატიურად ესწრებიან მეცადინეობას. უკვე არჩეულია კომისია, რომელმაც 15 აპრილამდე უნდა მოახდინოს საერთო ცოდნის შეფასება, როგორც პარტ; ისე ახკომკავშირის სკოლებში.

მეცადინეობა საერთოდ ნაყოფიერად მიმდინარეობს. ხშირად ხდება კამათი სხვა და სხვა საკითხების გარშემო.

სამხკორი ნადარეიშვილი.

## გაერთიანებული სხდომა ცვალებადელებთან ერთად.

მე 5 ლეგ. 2-რე ათასეული.

ცვალებადელთა მოკლე ვადიანი შეკრების დროს ათასეულის წერტზე მოხდა გაერთიანებული კრება ცვალებად პარტიულებსა და ახკომკავშირელებთან ერთად.

გაკეთებული იქნა მოხსენება ცვალებადელთა სოფლად მუშაობისა და მოკლე ვადიანი შეკრების მნიშვნელობის შესახებ. არჩეული იქნენ აგრეთვე თემრწმუნებულები.

ცვალებად წითელ არმიელებს—პარტიულ ამხანაგებს მიეცათ სხვა და სხვა დავალებები მომავალი შეკრებისათვის, რასაც იმედია პირნათლად შეასრულებენ.

სამხკორი ვ. ნოზაძე.

# სამხკორის კუთხე

## პასუხად ამხ. უსწავლელს.

გაზ. „წითელ არმიელის“ № 54-ში მოთავსებული იყო სამხკორ უსწავლელის წერილი, რომელშიდაც ის ეხებოდა დივიზიის ლაზარეთს და სხვა და სხვა ნაკლულევანებებთან ერთად აღნიშნავს თითქოს პოლიტსაათის საქმე ისე ცუდათ იყოს დაყენებული ხსენებულ ნაწილში, რომ ლაპარაკიც არა ღირს მის შესახებ.

არ ვიცი რად დასჭირდა ამხ. უსწავლელს ასეთი ყალბი ცნობის მიწოდება რედაქციისათვის.

მასუ შეეძლო სანიტარიის ირგვლივ ლაპარაკი, მაგრამ პოლიტსაათსა და დღიურის მოვალეობის შესახებ კი ყველაზე უფრო ნაკლებად. თუ ამხანაგი ჩვენი წითელ არმიელია რად ვერ ხედავს თუ სად მიდიან ამოკითხვის შემდეგ ჩვენი წითელ არმიელები? მიდიან თუ არა სკოლაში სამეცადინოთ. სადაც პოლიტსაათს პირველ რიგში და დიდი ყურადღებითაც იმენენ?

ასეთი სამხკორი სცემს საერთოდ სამხკორის ავტორიტეტს, რასაც ადგილი არ უნდა ექნეს ჩვენში. ფაქტების დაუმახინჯებლობა და მისი სისწორით გამოქვეყნება პრესის ფურცლებზე უპირველესი. მოვალეობაა სამხკორის ეს უნდა გვახსოვდეს ყოველთვის.

სამხკორი ლენკუთხელი.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

ტერ-სამმართველოს საკომენდანტო გუნდში არ გვეძლევა სუფთად დამზადებული სადილები. ამ ორი დღის წინად წითელ არმიელებმა აღმოაჩინეს კერძში მატლები. მთელი დღის განმავლობაში ამის გამო მშიერი დარჩენ ამხანაგები. საჭიროა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას ვისაც ევალება და მიიღოს ზომები, რათა გააუმჯობესონ და სუფთად იქნეს წითელ არმიელების სადილები დამზადებული.

წ. არმ. შაშხანა.

1-ლი ლეგიონის ეზოში გამოყვანილია ორი წყალსადენის მილი, რომლებსაც მოცილებული აქვთ ძირს ცემენტის სილრმე. ხშირად ამ ადგილზე ყრიან ნარჩენ ქაშს და ძვლებს, რითაც ივსება ეს უკანასკნელები, რჩება დიდი ხნის განმავლობაში და საშინელ სუნს უშვებს.

სად არის ლეგიონის ექიმები? რატომ ყურადღებას არ მიაქცევენ ამ ანტისანიტარულ მოვლენას?

სამხკორი გ—ფრინდა.

ტფ. სამხედრო ჰოსპიტალში წითელ არმიელებისათვის მშვენიერი სასადილო არის მოწყობილი, მაგრამ სამწუხაროდ სადილობის შემდეგ სრულიად უპატრონოთ არის მიტოვებული. არა სჩანს პატრონი, რომ სასადილოში არსებულ ქონებას მიხედოს.

ბევრჯერ შევსულვართ სასადილოში განგებ, მაგრამ იქ არავინ იყო. ჭურჭლეულობა და სხვა ქონება კი უპატრონოდ იყო მიტოვებული.

მეტი ყურადღებაა საჭირო სახალხო ქონებისადმი.

სამხკორი წითელი სანიტარი.

# ვინ იქნება შემდეგი?

თანახმად ამხ. მეფარიშვილის გამოწვევისა ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ ერთი თვით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მე 6 სე ლეგიონიდან: ამხ. ამხ. არჩილ გიორგობიანს, ივანე ბალანჩივაძეს, პლატონ როსნაძეს, ივანე ბალამწარაშვილს და ნესტორ რამიშვილს.

ცხენოსან ლეგიონიდან: ამხ. შალვა ბახტაძეს.

სამტრედიიდან მოქ. ალ. თომეიშვილს და ვანო კაკაბაძეს.

ვალერი თომეიშვილი.

მე-6 ქართ. მსრ. ლეგიონის მე-5-თე ასეულის ქვემო მაჩხაანის რაიონის ცვალებად წითელ არმიელები, რიცხვით სამოცდა თოთხმეტი კაცი—74— ვიწერთ გაზეთ „წითელ არმიელს“ და ვ წვევთ შემდეგ ასეულებს:

მე-6 ლეგიონიდან მე-3—4 მე-6-სე და მეშკიდე ასეულებს.—

მე 5 ლეგიონიდან: მე-3—7—8 და მე-9-რე ასეულებს.—

მე-4 ლეგიონიდან: 1—2 და მე-5 ასეულებს.

აღნიშნულ ასეულის ცვალებად წითელ არმიელებს, მოუწოდებთ გამოიწერონ გზეთი „წითელი არმიელი“ და გაავრცელონ ის.

მე-5 ასეულის ცვალებადი წითელი არმიელების დავალებით სამხკორი მეფარიშვილი.

1-ლ არტლეგიონში ეს ერთი ხანია, რაც უშუშარი—ცომი პური გვირიგდება, რომელსაც სრულიად ვერ ეკარებიან სიახლოვეს წითელ არმიელები. საკვირველია რად არ აქცევენ ამ გარემოებას ყურადღებას ჩვენი მესვეურები. თუ ასე გაგრძელდა შესაძლებელია ავადმყოფობა გამოიწვიოს მან ნაწილში.

დროა ყურადღება მიაქციონ ამ მოვლენას და მოგვცენ გამოშუშებული პური.

სამხკორი ვანო მოლითელი.

1-ლი არტლეგიონის კლუბში ხშირად იდგმება წარმოდგენები და კინო სურათები, როგორც რუსულ, ისე ქართულ ენებზე. კინო სურათები ხშირად ვერ გვაკმაყოფილებს განსაკუთრებით ქართველ წითელ არმიელებს.

ფული იხარჯება და სურათები კი ცუდი შინაარსის მოაქვთ. ქართულ სურათებს კი თითქმის სრულიად არ აჩვენებენ კლუბში.

საჭიროა ამასაც მიექცეს ყურადღება და თუ შესაძლებელი იქნება მოგვაწოდონ კარგი შინაარსის სურათები. თანაც დაგვინიშნონ ერთი მთარგმნელი, თორემ წითელ არმიელებს სრულიად ეკარგებათ სურათისადმი ინტერესი.

სამხკორი წითელი ზოლი.

# ამბები სოფლებიდან.

ფოსტა სვანეთში. სოფ. ლახამულაში გაიხსნა საფოსტო განყოფილება.

წისქვილი. სიღნაღის აღმასკომმა მოაწყო და აამუშავა ახალი წისქვილი სოფ. ჭიაურში.

საბავშვო ბაღები. 8 მარტს სოფ. ბოდბისხევში, ლაგოდეხში და სიღნაღში გაიხსნა ქალთა დღის საბავშვო ბაღები.

კედლის გაზეთი. სიღნაღში დაიწყო გამოსვლა განათლების მუშაკთა კავშირის კედლის გაზეთმა.

სოფ. ქვემოჭალის (გორ. მ.) აღმასკომმა დაადგინა სოფ. იგუეთში ზაალიშვილებისეული სახლი მოახმაროს ადგილობრივ სკოლის აგებას.

სოფ. დირბის თემაღმასკომმა დაადგინა სოფლის ცენტრში ააგოს კლუბი.

გორის აღმასკომმა დაადგინა გაგზავნოს ქარელის თემში აგრონომი.

ახალი ბაღი გორში. გორის აღმასკომმა დაადგინა გააშენოს ბაღი მდ. მტკვარის ნაპირათ, რისთვისაც გადასდო 3.423 მანეთი.

# ახალი ამბები.

ქალაქში მოძრაობის წესები. უბედურ შემთხვევებთან ბრძოლის მიზნით, ქალაქის ადმინისტრატიული განყოფილება იმუშავებს წესებს ქუჩებში სამგზავრო, გადასაზიდ და აგრეთვე მოქალაქეთა მოძრაობის შესახებ.

გლეხთა სახლში იანვარ—თებერვლის განმავლობაში გაუვლია 2.677 გლეხს.

ომის ინვალიდთათვის ხელოვნური ხელფეხის გასაკეთებლათ ჯანსახკომმა გადასცა სოც.-უზრუნ. კომისარიატს 1000 მანეთი.

თბილისის ელსადგურებიდან ელექტრონით სარგებლობს ამჟამად 10.263 ოჯახი.

კინო-კავშირს გასული წლის განმავლობაში შემოუვიდა 221.208 მანეთი.

კოოპერატიული გამომცემლობა. 1925 წლის განმავლობაში ცეკავშირმა გამოსცა 5 სხვა და სხვა სახელწოდების წიგნი სულ 23.300 ცალი.

საზოგადო სამუშაოები შარშან მოეწყო ტფილისში, ბათომში, ჭიათურაში, ქუთაისში, გორში, ხაშურში, ბორჯომში და სამტრედიაში.

# საბჭოთა ხელახალი არჩევნები სა[...] ქართველოში.

15 და 16 მარტს ცენტრ.-საარჩევნო კომისიის მიერ მიღებულ ცნობების თანახმათ საბჭოთა არჩევნები ჩატარდა ამ ხნის განმავლობაში შემდეგ ადგილებში:

### გურია

ნიგოითის თემის საბჭოში აირჩიეს 36 დეპუტატი. მათში 9 კომუნისტია და 1 კომკავშირელი.

ჯუმათის სათემო საბჭოში გავიდა 11 კომუნისტი და 2 კომკავშირელი. სულ 23 წევრი, რომელთაგან 4 ქალია.

ბუკნარის სათემო საბჭოში აირჩიეს 10 წარმომადგენელი. მათში 2 კომუნისტია და 3 კომკავშირელი.

ჯვარცხმის საბჭოში აირჩიეს 19 წევრი. მათში 6 კომუნისტია და 3 ქალი.

ნინოშვილის სათემო საბჭოში აირჩიეს 18 წევრი. მათში 5 კომუნისტია და 1 ქალი.

ბაჰვის თემის საბჭოში აირჩიეს 38 დეპუტატი. მათში 14 კომუნისტია და 4 კომკავშირელი.

ჩოჩხათის თემში საბჭოს არჩევნები განსაკუთრებული [...] ცხოველით ჩატარდა. აირჩ[...] 38 წარმომადგენელი.

აცანის სათემო საბ[...] აირჩიეს 20 წარმომადგე[...] მათ შორის 6 კომუნისტი[...]

### შორაპნის მაზრა.

მოლითის სათემო საბჭო[...] აირჩიეს 64 წარმომადგენელ[...] მათში 13 კომუნისტია და [...] კომკავშირელი.

ქვედა-საზანოს თემის სა[...]ჭოში აირჩიეს 51 დეპუტა[...] აქედან 5 კომუნისტია და [...] ქალი.

ლელვი 6 მარელისის თემ[...] საბჭოში აირჩიეს 38 დეპუტ[...]ტი. აქედან 14 კომუნისტია.

### ლეჩხუმი

ლაილაშის საბჭოში აირჩ[...] 35 წარმომადგენელი. მათ[...] 15 კომუნისტია და 2 კომკა[...]შირელი.

### გორის მაზრა

წითელ-ქალაქის საბჭო[...] აირჩიეს 111 წევრი. აქედ[...] 8 კომუნისტია და 5 კომკა[...]შირელი. არჩეულთა შორის 1[...] ქალია.

## ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, [...] გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

# მეცნიერება და ტეხნიკა

(დასაწყისი იხ. წინა №-ში)

მეცნიერებისათვის არ არსებობს საზღვარი.

სრულიად გასაგებია, რომ ასეთ უზარმაზარ მანძილებზე უდიდესი ვარსკვლავები მილიონჯერ უფრო დიდები იქნებიან, ვიდრე ჩვენი მზე. ჩვენ კი ოდნავი შესამჩნევი ბრწყინავ წერტილებად გვეჩვენებიან ისინი ცის თაღზე.

მიუხედავად ამისა მეცნიერ მაკიკელსონიმ აღმოაჩინა საშვალება, რომლის შემწეობით შესაძლებელია ვარსკვლავის სიდიდის გაზომვა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მეცნიერებისთვის არ არსებობს საზღვრები. თუ წინად ადამიანი სამყაროს ცენტრად სთვლიდა დედამიწას, ფიქრობდა, რომ მზეგარს უვლის დედამიწასო, ეხლა ამავე ადამიანმა მეცნიერების შემწეობით იცის ვარსკვლავების შემადგენლობა, მათი ტემპერატურა, მათი წონა და სიდიდე.

20 მილიონი წელიწადის სა[...]ლელი მანძილი.

თუ ჩვენ ზევით აღნიშნუ[...] არშინით დავიწყებთ ვარსკვლ[...]ვთა შორის მანძილის გაზო[...]ვას—მივიღებთ სულ სხვა [...] სხვა რიცხვებს. უახლოესი ვა[...]რსკვლავი დედამიწიდან დაც[...]ლებულია 4 ნახევარი სინათ[...]ლის წლის მანძილით, ხოლ[...] ყველაზე უფრო დაცილებულ[...] ვარსკვლავები კი ათეული [...] ასეული ათასი სინათლის წლ[...] მანძილებით არიან ჩვენგან [...] შორებული. ამ ციფრების [...]გება მეტად ძნელი საქმეა. [...] კმარისია ავღნიშნოთ, რომ ჰა[...]როპლანი რომელიც გადის [...] ათში 200 ვერსს, დედამიწა[...]თან უახლოეს ვარსკვლავზე გ[...] დაფრენას მოუნდებოდა 20 მ[...]ლიონი წელიწადი.

# ჩვენი ფოსტა.

ივ. ჩიტაიშვილს თქვენი წერილი ცვალებადელების შესახ[...] არ გამოდგა. მოიწერეთ სხვაზე.

ალ. მთიულიშვილს თქვენი წერილი ქ. თელავის შესახ[...] გადაეგზავნა გაზ. „ახალი სოფლის“ რედაქციას.

სამხკორ სიმართლეს კორესპონდენცია: „ნაკლი უნდა ა[...] მოიფხვრას“ გადაეგზავნა ნაწილის უფროსს შესაფე[...] ზომების მისაღებად.

მაუზერს წერილი „დროა მიექცეს ყურადღება“ გადაეგზავ[...] გაზ. „ახალი სოფლის“ რედაქციას.

გავაშელიშვილს წერილი მეოთხე ლეგიონის შესახებ [...] დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**დაიკარგა** პირველი დივიზიის შტაბიდან გაც[...]მული სამხედრო სამსახურიდან განთ[...]ვისუფლების მოწმობა ფორმა № 4 გიორგი სიმონის ძე ოსე[...]შვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.